პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ -1/040/2016

ო.ფ.-ს წარმომადგენლის, მ.ვ.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **23/02/2016**

განმცხადებელი: ო.ფ. (პ/ნ **********)

წარმომადგენელი: მ.ვ. (პ/ნ **********)

მოთხოვნა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების ფაქტების დადგენა და დამრღვევ პირთათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის 16 ნოემბერს განცხადებით (რეგისტრაციის №01/764; 17.11.2015 წელი) მომართა მ.ვ.-მ, რომელიც მიუთითებდა ო.ფ.-ს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტებზე. ვინაიდან განმცხადებელი არ მიუთითებდა მისი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევაზე, არამედ აღნიშნავდა, რომ მისი შვილის ინტერესებს იცავდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2015 წლის 24 ნოემბრის №გ-1/201/2015 გადაწყვეტილებით ო.ფ.-ს განცხადებასთან დაკავშირებით დაადგინა ხარვეზი და განმცხადებელს დაევალა, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, მონაცემთა სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

2015 წლის 04 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ო.ფ.-მ წარმოადგინა განცხადება (რეგისტრაციის №01/813), რომელსაც დართული ჰქონდა ო.ფ.-ს ხელმოწერილი (ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №X დაწესებულების ბეჭდითა და სოციალური მუშაკის ხელმოწერით) განცხადება, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებული - ო.ფ., მ.ვ.-ს, დაბადებულს 19** წლის **

ნოემბერს, ანიჭებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და ითხოვდა 2015 წლის 16 ნოემბრის განცხადებაში (რეგისტრაციის №01/764; 17.11.2015 წელი) მოყვანილი ფაქტების დროულად შესწავლას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 10 დეკემბრის №გ-1/216/2015 გადაწყვეტილებით 2015 წლის 16 ნოემბრის განცხადება (რეგისტრაციის №01/764; 17.11.2015 წელი) მიღებულ იქნა განსახილველად.

ო.ფ.-ს წარმომადგენელი მ.ვ. 2015 წლის 16 ნოემბრის განცხადებაში (რეგისტრაციის №01/764; 17.11.2015 წელი) მიუთითებდა მარწმუნებლის, ო.ფ.-ს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტებზე, კერძოდ:

1. 2014 წლის ** სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე (Police.ge) და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გაავრცელა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ო.ფ.-ს დაკავების ვიდეოკადრები, რომლებშიც რაიმე ძალისხმევის გარეშე შესაძლებელი იყო დაკავებულის პირდაპირი იდენტიფიცირება. ასევე, აღნიშნულ ვიდეოკადრებში სრულად იყო გაცხადებული დაკავებულის სახელი და გვარი, ნაცვლად ინიციალებით მითითებისა;
2. საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის მიერ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე დამუშავებულ იქნა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ო.ფ.-ს წარმომადგენელმა მ.ვ.-მ მიუთითა, რომ მასმედიის საშუალებით გავრცელდა მისი მარწმუნებლის საიდენტიფიკაციო ფიზიკური, ბიომეტრული მახასიათებელი, რის გამოც სამინისტროს მხრიდან დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლება და ასევე მე-40 მუხლით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ო.ფ.-ს წარმომადგენლის მითითებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებით (ვიდეოკადრების გავრცელება) რეალური საფრთხე შეექმნა ო.ფ.-ს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რისკის ქვეშ დადგა მისი ოჯახის უსაფრთხოება, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებას მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი. ამასთან, პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობით ინფორმაციის გავრცელების გამო, პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურში არსებული და განსაზღვრული წესით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შიდა რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებით დადგენილ იქნა კრიმინალური სამყაროსგან ო.ფ.-ს სიცოცხლის ხელყოფაზე გაცემული დავალების არსებობის ფაქტი.

ო.ფ.-ს წარმომადგენელმა მ.ვ.-მ აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად წამოადგინა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის 12 აგვისტოს №MCLA 8 15 00659944 წერილის ასლი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილების 2015 წლის 31 დეკემბრის №27/12/3-10 წერილის ასლი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილების 2015 წლის 13 ივლისის №27/12/3 ცნობის ასლი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 2015 წლის 31 ოქტომბრის №MIA 4 15 02415119 ცნობის ასლი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავების ფაქტთან დაკავშირებით განცხადებაზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 25 სექტემბრის საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს №0005451102 მომართვის საფუძველზე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების დირექტორმა 2014 წლის 26 სექტემბრის №MCLA 1 14 00499626 წერილით გადააგზავნა ო.ფ.-სთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ასლები, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების მთავარმა ექიმმა, 2014 წლის პირველი ოქტომბრის №MCLA 0 14 00506252 წერილით - ო.ფ.-ს შესახებ სრული დოკუმენტაცია.

2015 წლის 16 ნოემბრის განცხადებაზე ასევე დართულია ო.ფ.-ს საჩივარი „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან უკანონო მოქმედებების თაობაზე“ მიმართული საქართველოს მთავარი პროკურორის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსისადმი. საჩივარში ო.ფ უთითებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორისათვის უკანონოდ გადაცემის ფაქტზე და ითხოვს აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას. ქალაქ თბილისის პროკურატურა აღნიშნული საჩივრის საპასუხო 2015 წლის 12 ოქტომბრის №13/01-63684 წერილში უთითებს, რომ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, „ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“. თუმცა, ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ამას ითვალისწინებს

საქართველოს კანონმდებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაცემის კანონიერების დასაბუთებისას, კანონმდებლობის ამავე ნორმებზე მიუთითებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ზემოხსენებული საჩივრის საპასუხო 2015 წლის 27 ოქტომბრის №MCLA 1 15 00937472 წერილში. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი კი, 2015 წლის 31 აგვისტოს №02/65499 წერილში აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყება აღემატება სააგენტოს კომპეტენციას.

ო.ფ.-ს წარმომადგენელი განცხადებაში ასაბუთებს, რომ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის, რომელიც ეხებოდა პირად ცხოვრებას, კონფიდენციალურ ინფორმაციას, პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის ამოღებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურატურას უნდა მიემართა სასამართლოსთვის. ამავე კოდექსის 112-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.“ წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა პაციენტის თანხმობა და არც მოსამართლის განჩინება, შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დამუშავდა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით.

ო.ფ.-ს წარმომადგენელი მ.ვ. უთითებს, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე, 27-ე მუხლებისა და 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ო.ფ.-ს წარმომადგენელმა, მ.ვ.-მ 2016 წლის 19 თებერვალს განსახილველ საქმეზე დასართავად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში განცხადებით (რეგისტრაციის №01/152) წარმოადგინა CD დისკზე ჩაწერილი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია ტაბულას მიერ გავრცელებული ვიდეოსიუჟეტი.

2015 წლის 23 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ გადამოწმებისას დადასტურდა ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრების პირდაპირ იდენტიფიცირებადი ფორმით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (Police.ge) ხელმისაწვდომობის ფაქტი. ვინაიდან, აღნიშნულის გამო, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობდა მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის საფრთხე, ინსპექტორმა 2015 წლის 23 დეკემბრის №გ-1/230/2015 გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა საქმის განხილვის საბოლოო დასრულებამდე ო.ფ.-ს დაკავების შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე 2014 წლის ** სექტემბერს განთავსებული ვიდეოკადრების დაბლოკვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 31 დეკემბრის №1259/01 წერილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია თუ რა მიზანს ემსახურებოდა 2014 წლის ** სექტემბერს სამინისტროს ვებგვერდზე ო.ფ.-ს დაკავებისას გადაღებული ვიდეოკადრების განთავსება მისი პირდაპირ იდენტიფიცირებული ფორმით, სახის დაუფარავად და რატომ იყო ის კვლავ ხელმისაწვდომი შეუცვლელი სახით 2015 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით; გადასცა თუ არა სამინისტრომ მითითებული ვიდეოკადრები მედიასაშუალებებს და გაავრცელა თუ არა ინტერნეტ-სივრცეში; ასევე, რაიმე ფორმით დაამუშავა თუ არა ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები, მათ შორის გახადა თუ არა ეს მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი.

2016 წლის 18 იანვრის №MIA 8 16 00125468 საპასუხო წერილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა, რომ 2014 წლის ** სექტემბერს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (police.ge) განთავსდა მოქალაქე დ.ო.-ს განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრები, რომელიც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაამუშავა მათი ჩაწერის გზით. ამასთან, მითითებული ვიდეოკადრები დამატებით განთავსებულ იქნა სამინისტროს სოციალური ქსელის, Facebook-ის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ვიდეოკადრებთან ერთად საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა მითითებული ფაქტის ამსახველი ტექსტი, სადაც ო.ფ-ს გვარი ინიციალით იყო მოცემული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ სამინისტროს მხრიდან არ ხდება დამუშავებული ვიდეომასალის გასავრცელებლად გადაცემა კონკრეტული მედიასაშუალებებისთვის. სამინისტრო მოპოვებულ და დამუშავებულ ვიდეომასალას განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალური ქსელში, რათა არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის. ვებგვერდზე განთავსებული მასალის შემდგომი დამუშავება (ნახვა, გამოყენება, შეგროვება, გავრცელება) შესაძლებელია, როგორც მედიასაშუალებების, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ.

ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრების დაუფარავი სახით გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებამ ო.ფ.-ს სახე და პირადი მონაცემები (პირადი მონაცემების შემცველი ვიდეომასალა და ფოტოსურათები) გაამჟღავნა მანამდე, ვიდრე სამინისტრო განათავსებდა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. კერძოდ, 2014 წლის ** სექტემბერს ტელეკომპანია „ა“-ს ეთერში **:** საათზე საინფორმაციო გამოშვება „T“-ში გასულ სიუჟეტში გამოყენებული იყო ო.ფ.-ს ფოტოსურათები სახის დაფარვის გარეშე; 2014 წლის ** სექტემბერს ტელეკომპანია „ბ“-ს სიუჟეტში გამოყენებული იყო ო.ფ.-ს ფოტოები; ხოლო ინტერნეტ-გამოცემა „გ“-მ 2014 წლის ** სექტემბერს **:** საათზე ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა მასალა სათაურით „დ.ო.-ს მკვლელობაში ეჭვმიტანილი „ო.ვ.“ ****-ში დააკავეს“. მასალას თან ერთვოდა ფოტოსურათი, რომელზეც ო.ფ.-ს სახე არ ჰქონდა დაფარული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამავე წერილში პერსონალურ მონაცემთა სამინისტროს მხრიდან დამუშავების საფუძვლად უთითებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია, თუ პერსონალური მონაცემები საჯაროდ

ხელმისაწვდომია. სამინისტრო განმარტავს, რომ ვებგვერდზე განთავსებამდე იყო ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი და გავრცელებული.

2016 წლის 18 იანვრის №MIA 8 16 00125468 წერილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონაცემთა დამუშავების საფუძვლად ასევე მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ეს აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. სამინისტრომ განმარტა, რომ საჯარო ინტერესი საკმაოდ ფართო ცნებაა და იგი მოიაზრებს ისეთ ღირებულებებს როგორიც არის, საზოგადოების უსაფრთხოება და მისი დაცვა, ადამიანის უფლებების პრიორიტეტულობა, საფრთხის შემცველი გარემოებებისა და პიროვნებების ვინაობის გასაჯაროება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით საგამოძიებო პროცესში არ შექმნილა საჭიროება რომელიმე სამედიცინო პროფილაქტიკური დაწესებულებიდან ო.ფ.-ს ავადმყოფობის ისტორიისა თუ ცნობების მოძიებისთვის, ასევე არ ჩატარებულა რაიმე სახის სასამართლო-სამედიცინო თუ ფსიქიატრიული ექსპერტიზა და შესაბამისად, არ მომხდარა სამედიცინო ხასიათის დოკუმენტის რაიმე ფორმით გასაჯაროება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა 2016 წლის 19 თებერვალს შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000091 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების გამო და ოქმი №0000092 სამინისტროს მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების ამავე კანონის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების გამო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა №0000091 ოქმზე ახსნა-განმარტების ფორმით მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა სამართალდარღვევის არსებობას, ვინაიდან, ვიდეოკადრების გავრცელების საფუძველი იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები; ო.ფ.-ს და კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მისი დაკავების ფაქტის გავრცელება იყო მნიშვნელოვანი. ამასთანავე, მოცემული მოქალაქის შესახებ ინფორმაცია გავრცელებული და ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებაში მანამ, სანამ მას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №0000092 ოქმში წარმომადგენელმა მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა სამართალდარღვევის არსებობას, ვინაიდან ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემები დამუშავებული იყო კანონიერი მიზნებისა და საფუძვლის შესაბამისად. მაღალი საჯარო ინტერესი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იყო სამინისტროს გამოწვევა, რათა საფრთხის შემცველი პიროვნების/გარემოების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისთვის. მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზანი იყო ადამიანის უფლებათა დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2016 წლის 21 იანვრის №76/01 წერილით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურისაგან გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ 2014 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გამოითხოვა თუ არა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულებიდან ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში რა სახის მონაცემი, როდის, რა მიზნითა და სამართლებრივი საფუძვლით, ასევე, გაასაჯაროვა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია რაიმე სახით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2016 წლის 21 იანვრის №77/01 წერილით კი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, გადასცა თუ არა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების ადმინისტრაციამ ან/და სამედიცინო პერსონალმა ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს, დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, რა სახის მონაცემი, როდის, რა მიზნითა და სამართლებრივი საფუძვლით იქნა გადაცემული; ამასთან, გაასაჯაროვა თუ არა ბრალდებულის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა ფორმით, როდის, რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2016 წლის 22 იანვრის №გ-1/014/2016 გადაწყვეტილებით შეაჩერა განცხადების განხილვის ვადა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გამოთხოვილი ინფორმაციის სრულად წარმოდგენამდე.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 27 იანვრის №13/4931 საპასუხო წერილის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის თავდაცვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოში 2014 წლის 25 სექტემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ** სექტემბრის №**-*/***** წინადადება, ო.ფ.-ს მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y და №Z დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ, რომელსაც თან ერთვოდა სახალხო დამცველის რწმუნებულისათვის ო.ფ.-ს მიერ მიცემული ახსნა-განმარტება, სადაც ის მიუთითებდა, რომ 2014 წლის ** სექტემბერს №Z დაწესებულებაში საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებლმა მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. 2014 წლის ** სექტემბერს იგი გადაყვანილ იქნა ქ. *****-ში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულებაში, სადაც მიიყენა თვითდაზიანება, რაც გახდა მიზეზი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y

დაწესებულების თანამშრომელთა გაღიზიანების, მათი მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილში მითითებულია, რომ ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, - იმის გათვალისწინებით, რომ ო.ფ. მიუთითებდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე, რაც გამოიხატა ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ჯანმრთელობის დაზიანებაში, - იმის დასადგენად ჯანმრთელობის რა მდგომარეობა (რა სახის დაზიანებები) ჰქონდა მას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Z დაწესებულებაში შესახლებისას, 2014 წლის ** სექტემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Z დაწესებულებიდან გამოყვანისას და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულებაში შესახლებისას, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულებაში ყოფნისას, პროკურორმა 2014 წლის 25 სექტემბერს №0005451063 და №0005451102 წერილებით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y და №Z დაწესებულებებს ო.ფ.-სთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაციის (დასჯა, წახალისება, თვითდაზიანებები, ეტაპირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გარეგნული დათვალიერების ოქმი, სამედიცინო ცნობები და ა.შ.) ასლების გამოთხოვის შესახებ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Z დაწესებულების 2014 წლის 01 ოქტომბრის №51400508011 წერილით პროკურორს ეცნობა, რომ ო.ფ. ეტაპირებული იყო სასჯელაღსრულების №Y დაწესებულებაში, რის გამოც არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეწოდებინათ გამოთხოვნილი ინფორმაცია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 26 სექტემბრის №11400496426 და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულების მთავარი ექიმის 2014 წლის 01 ოქტომბრის №01400506252 წერილებით პროკურორს გაეგზავნა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

2016 წლის 27 იანვრის №13/4931 წერილში დოკუმენტაციის გამოთხოვის სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება და ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც, პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ზედამხედველობის ან საპროცესო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ასევე მიუთითა, რომ მათ მიერ არ მომხდარა ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის რაიმე სახით გასაჯაროება - მესამე პირთათვის ინფორმაციის მიწოდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის აღნიშნული დოკუმენტაცია, სრულად გადაეცა დაცვის მხარეს - ო.ფ.-ს ინტერესების დამცველ ადვოკატებს. წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება, მათ შორის სასჯელაღსრულების

დეპარტამენტის №Y დაწესებულებიდან მიღებული ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

ამავე წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, პროკურორის მიერ გამოთხოვილ იქნა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის გამოძიების მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომლის დამუშავების წესი რეგულირდება ამავე კანონის მე-6 მუხლით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, ამ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, 2016 წლის 22 თებერვალს შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000094, რომელზეც საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტების ფორმით მიუთითეს, რომ არ ეთანხმებოდნენ სამართალდარღვევის არსებობას, რადგან მათ მიერ დოკუმენტების მოპოვება მოხდა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და მოთხოვნების სრული დაცვით. მათ ასევე მიუთითეს, რომ პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით ჰქონდათ წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში საქმის განხილვის პროცესში.

2016 წლის 04 თებერვლის №MOC 9 16 00098534 საპასუხო წერილში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ო.ფ.-მ 2014 წლის 24 სექტემბერს მთავარ პროკურორს მიმართა განცხადებით, სადაც უთითებდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე, მიყენებული ჰქონდა თვითდაზიანებები, ყოველდღიურად აღებინებდა სისხლს, ჰქონდა აუტანელი ტკივილები მუცლის ღრუში; ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ითხოვდა დახმარებას, აღნიშნავდა, რომ იყო მომაკვდავი მძიმე ავადმყოფი და მის მიმართ ხორციელდებოდა ძალადობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან.

ამავე წერილის თანახმად, 2014 წლის 25 სექტემბერს, ვინაიდან საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე №**********, პროკურატურამ №********** მიმართვის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Z დაწესებულებისგან მოითხოვა სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით ო.ფ.-ს შესახებ სრული დოკუმენტაცია (დასჯა, წახალისება, თვითდაზიანებები, სამედიცინო ცნობები და ა.შ).

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო წერილში ასევე უთითებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ დანაწესზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე

მუხლის მე-6 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მისი სტრუქტურული ერთეულის მიერ 2014 წლის 01 ოქტომბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში ო.ფ.-ს შესახებ დოკუმენტაციის (სამედიცინო ბარათი) საკითხის სრულყოფილი და ობიექტური შესწავლის მიზნით გადაგზავნას, არ მიიჩნევს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევად, ვინაიდან ო.ფ.-ს მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე დაწყებული იყო გამოძიება, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას და, ამასთანავე, იგი პროკურატურისათვის გაგზავნილ განცხადებაში თავად აღწერდა და ასაჯაროებდა მის მდგომარეობას.

2016 წლის 04 თებერვლის №MOC 9 16 00098534 წერილში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ო.ფ.-ს შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საკითხი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად 2016 წლის 22 თებერვალს შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000096, რომელზეც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ახსნა-განმარტების ფორმით მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა ოქმს იმის თაობაზე, რომ თითქოს სამინისტროს არ გააჩნდა უფლებამოსილება ო.ფ.-ს შესახებ დოკუმენტაცია გადაეცა საქართველოს პროკურატურისათვის სისხლის სამართლის საქმეზე. მისი განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა თავად ო.ფ.-ს განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც აცხადებდა, რომ მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი. პროკურატურის წერილი იყო დასაბუთებული, სამინისტრო კი მოქმედებდა კანონმდებლობის დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი

ო.ფ.-ს წარმომადგენლის, მ.ვ.-ს განცხადებისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ო.ფ.-ს პირდაპირ იდენტიფიცირებადი ფორმით ამსახველი ვიდეოკადრების ხელმისაწვდომად გახდომის გზით გამჟღავნების კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნით.“ ამავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებას წარმოადგენს მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ვიდეოჩაწერა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 იანვრის №MIA 8 16 00125468 საპასუხო წერილში მითითებული ინფორმაციით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (Police.ge) და სოციალური ქსელ facebook-ის გვერდზე განათავსა ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრები სახის დაუფარავად, იმ მიზნით, რომ შემდგომში არსებული ინფორმაცია გამხდარიყო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ვიდეოკადრებთან ერთად საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა ფაქტის ამსახველი ტექსტი, სადაც ბრალდებულის გვარი ინიციალით იყო მოცემული, ხოლო სახელი მითითებული იყო სრულად.

გამომდინარე აღნიშნულიდან ცხადია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც მონაცემთა დამმუშავებელმა, ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრების ვებგვერდზე განთავსების გზით, დაამუშავა ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემები.

განსახილველ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ გაიზიარებს ო.ფ.-ს წარმომადგენლის არგუმენტაციას, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რადგან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტით ამომწურავად არის განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩამონათვალი, რომელშიც არ არის მითითებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირის დაკავების შესახებ მონაცემები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტი, რომლის თანახმადაც, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. სამინისტროს განმარტებით, საჯარო ინტერესი ფართო ცნებაა და თავის თავში მოიაზრებს ისეთ ღირებულებებს როგორიც არის, საზოგადოების უსაფრთხოება და დაცვა, ადამიანის უფლებების პრიორიტეტულობა, საფრთხის შემცველი გარემოებებისა და პიროვნებების გასაჯაროება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა: „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და

ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესის უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების [საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის] შეზღუდვა. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/3/407, 2007 წლის 26 დეკემბერი, II, პ. 8). პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებს განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმად, უფლებაში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ „უფლებაში ჩარევის განსხვავებული ფორმა, შინაარსი თუ ინტენსივობა მიუთითებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულ საჯარო ინტერესზე, რომლის მისაღწევადაც აუცილებელია უფლებაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა.“ (საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, განჩინება №1/7/454, 2008 წლის 19 დეკემბერი, I, პ. 3). გამომდინარე აღნიშნულიდან, მიუხედავად საჯარო ინტერესის ცნების ფართო მნიშვნელობისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საჯარო ინტერესის არსიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს რა ფორმით, შინაარსითა თუ ინტენსივობით შეიძლება ჩარევის განხორციელება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმარტებული საჯარო ინტერესი, ცალკე აღებული, შეიძლება წარმოადგენდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სამინისტრო ვერ ასაბუთებს თუ რა სახის ურთიერთკავშირში იყო ო.ფ.-ს დაკავების ვიდეოკადრების სახის დაუფარავად ჩვენება მითითებულ საჯარო ინტერესთან. ინფორმაციის გავრცელების დროს ო.ფ. უკვე დაკავებული იყო და სახელმწიფოს კონტროლის ფარგლებში ჰქონდა მოქცეული მისგან მომავალი შესაძლო საფრთხე, შესაბამისად, უკვე აღარ არსებობდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, ადამიანის უფლებების პრიორიტეტულობის, საფრთხის შემცველი გარემოებისა და პიროვნებების გასაჯაროების სახელმწიფო ინტერესი. ო.ფ.-ს დაკავებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მითითებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები უკვე განეიტრალებული იყო, შესაბამისად, სამინისტროს მიერ მონაცემთა გასაჯაროების გზით მონაცემთა დამუშავებისას არ არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტით

დადგენილი მონაცემთა დამუშავების საფუძველი. ამასთან, სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებში იდენტიფიცირებადია ო.ფ.-ს სახე, ხოლო თანდართულ ტექსტში სახელი სრულად არის მითითებული, გვარი კი - ინიციალით. კონკრეტული პირის - ო.ფ.-ს ვინაობის მიმართ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის რეალურად არსებობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულად მოახდენდა ბრალდებულის იდენტიფიცირებას, სახელის და გვარის მითითებით. შედარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ზოგადად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ახდენს დაკავებული პირების იდენტიფიცირებადი ფორმით ჩვენებას (მაგალითად, იხ.: http://police.ge/ge/shss-m-/9363; http://police.ge/ge/shss-m-zugdidis-raio№shi-momkhdari-ga№zrakh-mkvlelobis-faqti-gakhs№a/9366; http://police.ge/ge/shss-m-mestiashi-uka№o№o-iaraghi-amoigho/9370 ნანახია 16.02.2016 წელს).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონაცემთა დამუშავების საფუძვლად ასევე მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა. სამინისტროს ინფორმაციით ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემები, მანამდე იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი და გავრცელებული, ვიდრე თავად დაამუშავებდა. საჯაროდ ხელმისაწვდომობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიაზრა 2014 წლის სექტემბრის თვეში სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გასული სიუჟეტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია იმის თაობაზე, რომ მის მიერ ვიდეოკადრების გამჟღავნების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტი, ვერ იქნება გაზიარებული. აღნიშნული ნორმის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ეს მონაცემი „კანონის თანახმად არის საჯაროდ ხელმისაწვდომი“.

მოცემულ შემთხვევაში ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოკადრების გადაღება განახორციელა უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. შესაბამისად, მის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში ასახული პერსონალური მონაცემების (მაგალითად: ო.ფ.-ს ვიდეოგამოსახულება, დაკავების პროცესი, დაკავებულისათვის უფლებების გაცნობა და ა.შ.) ვებგვერდზე განთავსების გზით გამჟღავნებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომად გახდომის გარეშე, მოცემული ინფორმაციის სხვა პირების მიერ ამ სახით და ამ მოცულობით დამუშავება (გასაჯაროება), შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა, მედიასაშუალებების მიერ ო.ფ.-ს შესახებ მანამდე გავრცელებული ინფორმაცია იყო არაოფიციალური ხასიათის და მისი ნამდვილობა დამოკიდებული იყო შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ ფაქტის დადასტურებაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიდეოკადრებისა და შესაბამისი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებით.

ყოველივე აღნიშნულიდან ცალსახად იკვეთება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემები დაამუშავა (გაამჟღავნა მათი ხელმისაწვდომად გახდომის გზით) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მონაცემთა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დამუშავებით, ამავდროულად დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული პრინციპები, კერძოდ „მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად“ და „მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის“. აღნიშნული კი წარმოადგენს ამავე კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ო.ფ.-ს პერსონალური მონაცემების შესაბამისი საფუძვლების გარეშე დამუშავება ხორციელდებოდა დენადად, მუდმივ რეჟიმში, ვინაიდან განთავსების დღიდან ხელმისაწვდომი იყო სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (Police.ge), მანამ, სანამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის №გ-1/230/2015 გადაწყვეტილებით არ იქნა გამჟღავნება დაბლოკვით შეჩერებული.

2. საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებული მონაცემები.

ამავე კანონის მე-6 მუხლში განსაზღვრულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, ხოლო კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია კანონის მოქმედების სფერო.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“ გამომდინარე აღნიშნულიდან ცალსახაა, რომ კანონი ვრცელდება დანაშაულის გამოძიების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე, თუმცა გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, როგორიცაა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შემთხვევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილია, რომ „ამ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.“ აღნიშნული ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავების სპეციფიკური შინაარსიდან გამომდინარე, მონაცემთა დამუშავებისთვის უფრო ფართო და განსხვავებული საფუძვლების არსებობაა საჭირო, ვიდრე ეს გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში. ამგვარი საფუძვლების შესახებ მითითებას კი აღნიშნული დანაწესი აკეთებს იმგვარ სპეციალურ კანონებზე, როგორიცაა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მიხედვით, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.“ ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, კი ეს მონაცემები დგინდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით და ა.შ. გამომდინარე აღნიშნულიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ 2016 წლის 22 თებერვალს

შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებში (№0000094 და №0000096) საქართველოს მთავარი პროკურატურის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომდგენლების მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებებიდან (მათ შორის საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 27 იანვრის №13/4931 წერილიდან) დგინდება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები დამუშავდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში დანაშაულის გამოძიების მიზნით. განმცხადებლის წარმომადგენლის მითითებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება უნდა მომხდარიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილი წესით. გამომდინარე აღნიშნულიდან ცალსახაა და სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, არ ვრცელდება ამავე კანონის მე-6 მუხლის მოქმედება და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებისთვის აუცილებელია სპეციალური კანონის, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საფუძვლების დადგენა და მათი შეფასება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 27 იანვრის №13/4931 წერილში მითითებულია, რომ წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება, მათ შორის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №Y დაწესებულებიდან მიღებული ო.ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამასთან, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში კვლავ მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. გამომდინარე აღნიშნულიდან მონაცემთა დამუშავება ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებული არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, ხოლო ამავე კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე.“ კოდექსის მე-19 მუხლი ადგენს, რომ „1. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. 2. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი.“

აღნიშნული ნორმებიდან ნათლად დგინდება, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი კოდექსით დადგენილი წესით მართლმსაჯულება განახორციელოს და მიიღოს საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილება, ისე რომ დაცული იყოს პროცესის მონაწილის (მათ შორის ბრალდებულის) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. სასამართლოში მონაცემთა დამუშავების საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, „მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.“ შესაბამისად, ცალსახაა, რომ სასამართლო განხილვისას, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი შეაფასოს მტკიცებულების, მათ შორის პერსონალური მონაცემების შემცველი მტკიცებულებების, კანონიერება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მტკიცებულებად აღიარებულ მონაცემთა დამუშავების კანონიერების თაობაზე სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში, ვინაიდან კანონის მოქმედება და შესაბამისად, ინსპექტორის მანდატი არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, 27-ე, 34-ე, 39-ე, 43-ე, 44-ე და 55-ე მუხლების და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით და ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთ სამინისტროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000091;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
4. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ო.ფ.-ს დაკავების ამსახველი ვიდეოსიუჟეტის წაშლა ან დეპერსონალიზებული ფორმით შენახვა;
5. დასრულდეს ო.ფ.-ს წარმომადგენლის, მ.ვ.-ს განცხადების განხილვა;

6. ეცნობოთ ო.ფ.-ს წარმომადგენლს მ.ვ.-ს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს მთავარ პროკურატურას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
7. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი